განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შეფასების თარიღ(ებ)ი:

17.01.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

**27.02.2020**

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამართალმცოდნეობა |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სამართლის დოქტორი 0421 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ბოგვერაძე, კორძაძის საადვოკატო ბიურო, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ილია წიკლაური |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტში. წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არის უმაღლესი განათლების ბოლო, მესამე საფეხურის პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა ქართულ ენაზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრება „სამართლის დოქტორი“.

პროგრამით განსაზღვრულია მასზე დაშვების წინაპირობები (პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ასევე, განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით). წინაპირობებიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უცხო ენის კატეგორიაში მხოლოდ ინგლისურია დაშვების წინაპირობად დადგენილი.

პროგრამას გაწერილი აქვს მიზნები და შედეგები. სამართლის სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს, რაც 7 (შვიდი) სასწავლო კურსზეა გადანაწილებული. კვლევით კომპონენტად, პროგრამას, განსაზღრულია დისერტაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს 120 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა. პირველ პანელში ინტერვიუ შედგა სამართლის სკოლის დირექტორთან, სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და ხარისხის სამსახურის სხვა წარმომადგენლებთან. აღწერილ და განმარტებულ იქნა უნივერსიტეტის სტრუქტურული ფუნქციონირება სამრთლის სკოლის კონტექსტში, პროგრამის შემუშვებისა და განხორციელების შიდარეგულაციური მოწესრიგების ძირითადი ასპექტები.

მოდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას, სადაც აღიწერა სამართლის სადოქტორო პროგრამის რეაკრედიტაციის მომზადების პროცესი, რომელიც შემჭიდროვებულ ვადებში წარიმართა (ინტერვიუს თანახმად). უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიში მწირე ინფორმაციას შეიცავს.

ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილს შეადგენდა სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრა, სადაც პროგრამის ბევრ დეტალთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნა გაზიარებული როგორც პროგრამის სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტთან მიმართებით.

ვიზიტის მომდევნო პანელი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებას დაეთმო, რომლის შემდგომაც გადახედილ იქნა დისერტაციები. დისერტაციის სტრუქტურული მოცემულობის განსაზღვრის შემდგომი პანელი დაეთმო დისერტაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრას.

ვიზიტის მომდევნო ნაწილი დაეთმო სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრებს, რომლის შემდგომაც უნვიერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმების ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია გაგვიზიარა.

ვიზიტის ბოლოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გაუზიარა სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ ვიზიტის შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემოწმებულ იქნა საგანმანათლებლო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ თუ კანონქვემდებარე აქტებთან თავსებადობის კუთხით, ასევე, აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით. ექსპერტთა კორპუსის ვიზიტის, წარმოდგენილი და გამოთხოვილი დოკუმენტების განხილვის ზოგადი შინაარსით, პროგრამა, გარკვეულწილად, აკმაყოფილებს სტანდარტებს, თუმცა არის საკითხები, რომლის გათვალისწინებაც სასურველია პროგრამის სამომავლო გამართული ადმინისტრირებისა და დასახული მიზნის მიღწევისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია მეტ სისტემატიზირებას საჭიროებს.

- **რეკომენდაციები**

- სასურველია, წარმოდგენილ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, საიდანაც გამოიკვეთებოდეა მათი ურთიერთმიმართება. აღნიშნული აუცილებელია პროგრამის მიზნების მიღწევადობისა და რეალისტურობის შესაფასებლად;
- სასურველია, წარმოდგენილ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგები ექვსდონოვან დაყოფას უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დონეთა კატეგორიაში დაყოფა ანდა პირიქით - სილაბუსის სწავლის შედეგის სამდონოვან დაყოფასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის სწავლის ექვსდონოვანი დაყოფა.
- სასურველია, განსაზღვრულ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და ასევე, პროგრამის სამიზნე ნიშნულის მიღწევის მონიტორინგის ვადები (გეგმა).
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ოთხდონოვანი ციკლის ცირკულარი თვითშეფასების ანგარიშში ყოფილიყო ახსნილი და წარმოდგენილი, რამდენადაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა სწორედ პროცესის დაგეგმვის, შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზისა და განვითარების კუთხით მიემართება;
- სასურველია, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი სუსტი მხარეებს აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები იქნეს წრმოდგენილი, მათ შორის, ასახულ იქნეს თვითშეფასების ანგარიშში.
- სასურველია, წარმოდგენილ იქნეს კურსდამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია პერიოდულად მოხდეს მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, მონაცემების ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამის განვითარების მიზნით. აღნიშნული შედარებითი ანალიზი და ანალიზის შედეგები, სასურველია, წარმოდგენილი ყოფილიყო.

- აუცილებელია, განხორციელდეს სილაბუსების გადახედვა, დაემატოს ან განახლდეს ლიტერატურა
- მიზანშეწონილია, „პროგრამის“ სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნას იმგვარად, რომ გარკვეულ საგნებთან მიმართებით სამართლოს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე „პროგრამამ“ განსაზღვროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევითობის მოდელი, რაც უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობის კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილებას და შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს, თავად განსაზღვრონ საკუთარი სასწავლო პროფილი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება მისი ინტერნაციონალიზაციაა. შესაბამისად, კარგი იქნება, თუ შემუშავებულ და გათვალისწინებულ იქნება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება უშუალოდ სამართლის სადოქტორო პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხი და არა ზოგადსაუნივერსიტეტო ინტერნაციონალიზაციის ხედვა.

- პროგრამის სწავლის შედეგები, მიზანშეწონილი იქნება, თუ შემცირდება რაოდენობრივად, რომლის მიღწევაც სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი (ა. შეიძლება ორი ან მეტი სწავლის კონკრეტული შედეგი ინტეგრირდეს ერთ შედეგში; ბ. ამოღებულ იქნეს ესა თუ ის სწავლის შედეგი და მოდიფიცირდეს სრულად სწავლის შედეგები).

- მიზანშეწონილია, „უნივერსიტეტის“ მიერ გამოსწორდეს შემდეგი ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობები/ხარვეზები:

  (1) „სადოქტორო პროგრამიდან“ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციდან ამოღებული იქნას სამაგისტრო ნაშრომი;
  (2) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უცხო ენის ცოდნის მიმართ დადგენილ კრიტერიუმებთან დაკავშირებით შესაბამისობაში მოვიდეს „სადოქტორო პროგრამასთან“.

- თვითშეფასების ანგარიშში რეალურად აღიწეროს ის შიდაორგანიზაციული ხედვა, რაც ინსტიტუციას აქვს მის მიერ განხორციელებად სამართლის სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით.

- „სადოქტორო პროგრამის“ განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია გაფართოვდეს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზების დაგეგმვა-განხორციელების პროცესი უცხოელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების ჩართულობით ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით. ეს ხელს შეუწყობს „პროგრამის“

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას და დოქტორანტის კვლევითი უნარების განვითარებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს არსებობა, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესრულებაში.
- უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი თავად აცხადებს იმ თემატიკას, რომლის არჩევის საშუალებაც ეძლევა დოქტორანტურის სტუდენტს. ამ გზით უნივერსიტეტი ხელს უწყობს იმ კვლევების განხორციელებას, რომელშიც კომპეტენტურია აკადემიური პერსონალი.
- უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის საკონსულტაციო სივრცე, სადაც სტუდენტს ერთი სარკმლის პრინციპის გათვალისწინებით შეუძლია მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროცესის, ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასევე ისარგებლოს კანცელარიის სერვისებით.
- სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, კერძოდ გაიზარდოს პარტნიორ დამსაქმებელთა რაოდენობა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამართლის სადოქტორო პროგრამას განსაზღვრული აქვს მიზნები და სწავლის შედეგები. პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც მოიცავს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო უნარების განვითრებას. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდნება სამეცნიერო კვლევის განხორციელების მეთოდოლოგია და მის საფუძველზე შეძლებს კვლევის დამოუკიდებლად წარმოებას, რითიც ხელს შეუწყობს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის დანერგვას და სამართლის დარგის მეცნიერულ განვითარებას. კურსდამთავრებულს ექნება უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უნარი. შედეგად, პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს სამართლის დარგში კვლევით და სამეცნიერო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში მეცნიერ/მკვლევარად ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ თანამდებობებზე.<br><br>პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტებში არ მოიძებნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება, რომელიც, მაგალითად, სქემატურად იქნებოდა გამოხატული. აღნიშნული აუცილებელია, რათა პროგრამის მიზნების რეალისტურობა მკაფიოდ იქნეს გამოხატული იმ სასწავლო თუ კვლევითი კომპონენტების დაძლების შედეგად, რაც, ზოგადად, სამართლის სადოქტორო პროგრამით არის განსაზღრული.<br><br>პროგრამის მიზნების ასახავს თუ რა წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში და როგორი კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული. პროგრამა, მეტწილად, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რომლის შესახებაც განხორციელებულია კვლევა. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.<br><br>პროგრამის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება მისი ინტერნაციონალიზაციაა. შესაბამისად, კარგი იქნება, თუ შემუშავებულ და გათვალისწინებულ იქნება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება უშუალოდ |

| |
|---|
| სამართლის სადოქტორო პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხი და არა ზოგადსაუნივერსიტეტო ინტერნაციონალიზაციის ხედვა.<br><br>პროგრამა გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ, საჯარო და ხელმისაწვდომია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამის მიზნები;<br>• სამართლის სადოქტორო პროგრამა;<br>• უნივერსიტეტის მისია;<br>• შრომის ბაზრის კვლევა;<br>• ვებგვერდი: [https://ug.edu.ge];<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდირებულია, რომ წარმოდგენილ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, საიდანაც გამოიკვეთებოდეა მათი ურთიერთმიმართება. აღნიშნული აუცილებელია პროგრამის მიზნების მიღწევადობისა და რეალისტურობის შესაფასებლად. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>პროგრამის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება მისი ინტერნაციონალიზაციაა. შესაბამისად, კარგი იქნება, თუ შემუშავებულ და გათვალისწინებულ იქნება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება უშუალოდ სამართლის სადოქტორო პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხი და არა ზოგადსაუნივერსიტეტო ინტერნაციონალიზაციის ხედვა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგები ჩაშლილია ექვსდონოვან სწავლის შედეგად:

**ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს ექნება:

- სამართლის უახლესი მიღწევების, მათ შორის სამართლის დოგმატიკისა და ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის ახალი მიღწევების ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას იძლევა;
- სამართლებრივი კვლევის თანამედროვე მეთოდების (მათ შორის, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების) სისტემური ცოდნა;
- კვლევითი პროექტების ძირითადი სტრუქტურის, კვლევითი პროექტის ფინანსური კატეგორიების, კვლევითი პროექტების შედგენის ცოდნა;
- სწავლისა და სწავლების თანამედროვე თეორიებისა და სტრატეგიების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მართვისა და შეფასების ეფექტური მეთოდების სისტემური ცოდნა.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებულს ექნება:

- სამართლის თეორიების გადაფასების შედეგად ახალი სამართლებრივი მიდგომებისა და იდეების ჩამოყალიბებისა და შექმნის უნარი;
- კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისთვის მეცნიერულად არგუმენტირებული და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- კვლევის პროცესში სამართლებრივი კვლევის თანამედროვე მეთოდების (მათ შორის, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების) გამოყენების უნარი;
- სამართლის სფეროში სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის და განხორციელების უნარი;
- კვლევისთვის შესაბამისი დაფინანსების წყაროს მოძიებისა და კონკრეტულ კრიტერიუმებს მისადაგებული კვლევითი პროექტების შედგენის უნარი;

- სწავლების თანამედროვე სტრატეგიების და მეთოდების პრაქტიკაში რეალიზების, სალექციო კურსის დაგეგმვის, მართვისა და შეფასების უნარი.

**დასკვნის უნარი**
კურსდამთავრებულს ექნება:
- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი სამართლებრივი შეხედულებებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების უნარი.

**კომუნიკაციის უნარი**
კურსდამთავრებულს ექნება:

- სამართლის სფეროში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში არგუმენტირებულად და ნათლად წარმოჩენის უნარი;
- სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და კოლოქვიუმებში სამეცნიერო საზოგადოებასთან დისკუსიისა და დებატების უნარი.

**სწავლის უნარი**
კურსდამთავრებულს ექნება:

- სამართლის სფეროში უახლესი მიღწევების შესწავლის და მათი კვლევის შედეგად განვითარებული ახალი იდეების საშუალებით ცოდნის გაფართოების უნარი.

**ღირებულებები**
კურსდამთავრებულს ექნება:

გაცნობიერებული კვლევის და პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას აკადემიური და პროფესიული სტანდარტების დაცვის მნიშვნელობა.

პროგრამის სწავლის შედეგები, მიზანშეწონილი იქნება, თუ შემცირდება რაოდენობრივად, რომლის მიღწევაც სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი (ა. შეიძლება ორი ან მეტი სწავლის კონკრეტული შედეგი ინტეგრირდეს ერთ შედეგში; ბ. ამოღებულ იქნეს ესა თუ ის სწავლის შედეგი და მოდიფიცირდეს სრულად სწავლის შედეგები).

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის დადგენის კუთხით, აუცილებელია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რათა დადგინდეს სწავლის შედეგის რეალისტურობა მიზნებთან მიმართებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ექვსდონოვან კატეგორიაში ჩაშლა, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, არ არის სასურველი, რადგან საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ ($2^1$ მუხლის პირველი პუქნტის გ) ქვეპუნქტი), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #69/ნ 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები სწავლის შედეგების სად დონოვან ჩაშლის სტანდარტს ადგენს. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სამართლის, როგორც რეგულირებადი დარგის დარგობრივი მახასიათებელი დოქტორანტურის საფეხურთან მიმართებით არ არის განსაზღვრული, რაც შეიძლება არგუმენტად ყოფილიყო გამოყენებული. არსებული რეგულაციური მდგომარეობის

მიხედვით, სამართლის დარგობრივი მახსიათებელი 2011 წლის რედაქციის მოქმედებს, რომელიც ითვალისწინებს ექვსდონოვან სწავლის შედეგის ჩაშლას, თუმცა მხოლოდ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე.

ბუნებრივია, პროგრამის სწავლის შედეგთა ჩაშლა სამდონოვან კატეგორიაში მხოლოდ რჩევის ფორმატში დარჩება, რადგან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #69/ნ 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტი კვლაფიკაციათა ჩარჩოსთან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის კონკრეტულ ვადას ადგენს, ხოლო წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო პროგრამა აკმაყოფილებს აღნიშნულ ვადებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგი ჩაშლილია ექვს დონედ, თუმცა პროგრამის შემადგენელ ნაწილში, სილაბუსებში, განსხვავებული მიდგომა ფიქსირდება. კერძოდ, სილაბუსების ნაწილში სწავლის შედეგი სამდონოვან შედეგად არის გაწერილი, ხოლო ნაწილში - ექვსდონოვან შედეგად. როგორც ზემოთ აღინიშნა, არჩევანი პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პირთა ნების თავისუფლებაზეა დამოკიდებული, თუმცა, ერთსა და იმავე პროგრამის სხვადასხვა ნაწილში არაკლასიფიცირებული მიდგომა შესაცვლელია და კონკრეტული მოდელზე უნდა იქნეს არჩევანი შეჩერებული.

პროგრამის სწავლის შედეგები, ფაქტობრივად, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ასევე, სამართლის სადოქტორო პროგრამის მიმართ უნივერსიტეტს შესრულებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა, ხოლო მის შემუშავებაში, მეტწილად, ჩართულია დაინტერესებული პირები.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა კომპეტენციის წარმოდგენილი მატრიცით არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, რომელიც მორგებული იქნებოდა სამართლის სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე. სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები, თუმცა, ისევე როგორც სწავლის შედეგების შეფასების შემთხვევაში, მოცემულ საკითხთან მიმართებითაც, არ არის დადგენილი ის ვადა (პერიოდი), როდესაც დადგენილი სამიზნე ნიშნულის მიღწევა უნდა შეფასდეს. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის ბოლო ნაწილით განსაზღვრული პროგრამების ზოგადი შეფასების ვადები, უშუალოდ სამართლის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ცალკე უნდა იყოს გაწერილი, განსაზღვრული უნდა იყოს პროცესი, რომელსაც ექნება დასაბუთება, მაგალითად, მოცემული სასწავლო კურსით კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლა როგორ საბუთდება და როდის უნდა შემოწმდეს ამ სასწავლო საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევა. ეს, ლოგიკურად, ზოგადი ერთ ან ორწლიანი ჩანაწერით ვერ განისაზღვრება. ანალოგიური მოცემულობაა სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით.

| |
|---|
| პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ძირითადად, იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამის სწავლის შედეგები;<br>• სამართლის სადოქტორო პროგრამა;<br>• შრომის ბაზრის კვლევა;<br>• ვებგვერდი: [https://ug.edu.ge];<br>• გამოკითხვის შედეგები;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;<br>• სამიზნე ნიშნულები;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• პროგრამის სწავლის შედეგები ექვსდონოვან დაყოფას უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დონეთა კატეგორიაში დაყოფა ანდა პირიქით - სილაბუსის სწავლის შედეგის სამდონოვან დაყოფასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის სწავლის ექვსდონოვანი დაყოფა.<br>• რეკომენდირებულია, განსაზღვრულ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და ასევე, პროგრამის სამიზნე ნიშნულის მიღწევის მონიტორინგის ვადები (გეგმა). |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>პროგრამის სწავლის შედეგები, მიზანშეწონილი იქნება, თუ შემცირდება რაოდენობრივად, რომლის მიღწევაც სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი (ა. შეიძლება ორი ან მეტი სწავლის კონკრეტული შედეგი ინტეგრირდეს ერთ შედეგში; ბ. ამოღებულ იქნეს ესა თუ ის სწავლის შედეგი და მოდიფიცირდეს სრულად სწავლის შედეგები).<br><br>სასურველია, წარმოდგენილ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა |

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | √ | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში „**უნივერსიტეტი**“) სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე (შემდგომში „**სადოქტორო პროგრამა**“) დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანია, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული წინაპირობები და პროცედურა განისაზღვრება „უნივერსიტეტის“ დოქტორანტურის დებულებით (შემდგომში „**დოქტორანტურის დებულება**“) და სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამით (შემდგომში „**სადოქტორო პროგრამა**“ ან „**პროგრამა**“). ამასთან, ინფორმაცია „პროგრამაზე“ ჩარიცხვის, დაშვების წინაპირობების, „პროგრამის“ მიზნებისა და შედეგების , პროგრამაში ჩართული პერსონალის შესახებ განთავსებულია „უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს, მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ პროგრამაზე მიღების პროცედურებისა და „უნივერსიტეტის“ მიერ დადგენილი მოთხოვნების შესახებ, არამედ შეუქმნან კონკრეტული წარმოდგენა და მოლოდინი პროგრამის არსსა და სწავლის შედეგებზე.

„სადოქტორო პროგრამაზე“ მიღება ცხადდება წელიწადში ორჯერ. „პროგრამაზე“ მისაღებად „სკოლის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო თემატიკის გათვალისწინებით, ცხადდება კონკურსი საკვლევი თემატიკის მითითებით“ *(„სადოქტორო პროგრამა“, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა)*. აღნიშნული პროცედურა განმარტებულია „დოქტორანტურის დებულებით“, რომლის მიხედვითაც „დოქტორანტურის პროგრამაზე“ მისაღები დოქტორანტების რაოდენობას და თითოეული დოქტორანტისთვის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს სკოლის საბჭო „პროგრამაზე“ სტუდენტის მიღების მიზნით სკოლის  პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის მიერ წარდგენილი საკვლევი თემატიკის საფუძველზე *(„დოქტორანტურის დებულება, მუხლი 2.1.*). ამგვარად, „უნივერსიტეტში“ „პროგრამაზე“ სტუდენტის მიღება ცხადდება არა წინასწარ განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის ან სტუდენტის მიერ „უნივერსიტეტისათვის“ შეთავაზებული კვლევის თემის აქტუალობის ან სხვა კრიტერიუმების საფუძველზე, არამედ იმ საკვლევი თემატიკის მიხედვით, რომლის აქტუალურობასაც განსაზღვრავს თავად „უნივერსიტეტი“ მისი აკადემიური პერსონალის მეშვეობით და, რომელშიც კომპეტენცია თავად აკადემიურ პერსონალს გააჩნია. აღნიშნული პრაქტიკა რომელიც, განსხვავდება რა უმრავლესი სადოქტორო პროგრამების გამოცხადებისა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან, მისასალმებელია, ვინაიდან ამგვარი წესით „პროგრამა“ ორიენტირებას ახდენს არა მის კომერციალიზაციაზე, არამედ ხელს უწყობს აქტუალურ თემებზე იმ კვლევების განხორციელებას, რომელშიც კომპეტენტური თავად მისი აკადემიური პერსონალია.

„სადოქტორო პროგრამა“, „დოქტორანტურის დებულება“ და „უნივერსიტეტის“ ვებ-

გვერდზე განთავსებული ინფორმაცია „პროგრამაზე“ მიღებისათვის ადგენს შემდეგ ძირითად წინაპირობებს:

სადოქტორო პროგრამაზე მიიღება სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმოადგენს:

(1) აკადემიური წერის სტანდარტების დაცვით შესრულებულ კვლევის კონცეფციას (აღსანიშნავი და მისასალმებელია, რომ „უნივერსიტეტს“ შემუშავებული აქვს კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები (*დოქტორანტურის დებულების დანართი #1, დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ოქტომბრის #64/19 ოქმით*) და განთავსებული აქვს საკუთარ ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს „პროგრამაზე“ მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმის - კვლევის კონცეფციის შემუშავების წინასწარგანჭვრეტადობას და მისი შეფასების ძირითადი სტანდარტების გამჭვირვალობას);

(2) ინგლისური ენის არანაკლებ B2 (Upper Intermediate) დონეზე ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან საზღვარგარეთ ინგლისურენოვან ბაკალავრიატში/ მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელ საბუთს. ან ჩააბარებს საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მისაღებ ინგლისური ენის გამოცდას, რომელშიც კომპეტენციის მინიმალური ზღვარი არის მაქსიმალური შეფასების 60%. ამასთან, ინგლისური ენის საგამოცდო ტესტის ნიმუში განთავსებულია „უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე, რაც შესაძლებლობას აძლევს „პროგრამაში“ ჩარიცხვის მსურველ პირს შეექმნას გარკვეული წარმოდგენა საგამოცდო ტესტთან მიმართებით. აღსანიშნავია, ასევე, ტესტის შედეგების გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურის არსებობაც (*„დოქტორანტურის დებულება“, მუხლი 2.6.*), რაც პროცესის გამჭვირვალობაზე მიუთითებს.

„პროგრამაზე“ მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით აღსანიშნავია გარკვეული შეუსაბამობები, თუ ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც ვლინდება ამ წინაპირობების განსაზღვრის ნაწილში „სადოქტორო პროგრამის“, „დოქტორანტურის დებულებისა“ და „უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის შედარებისას. კერძოდ:

(1) „სადოქტორო პროგრამა“ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ წარსადგენ დოკუმენტაციას შორის უთითებს სამაგისტრო ნაშრომს, რასაც არ ითვალისწინებს „უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და „დოქტორანტურის დებულება“. აღნიშნული შეუსაბამობა დაზუსტდა ინტერვიუს პროცესში და განისაზღვრა როგორც ტექნიკური ხარვეზი. სასურველია, აღნიშნული ხარვეზი „უნივერსიტეტმა“ აღმოფხვრას დაინტერესებული პირებისათვის შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით;

(2) „სადოქტორო პროგრამა“ პროგრამაზე მიღების წინაპირობად ადგენს შესაბამის მოთხოვნებს მხოლოდ ინგლისურ ენასთან მიმართებით (დეტალურად იხილეთ ზევით), მაშინ, როდესაც „უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ინგლისური ენის ცოდნის დამდგენ კრიტერიუმებთან ერთად განსაზღვრავს, რომ „სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის მსურველებს შეუძლიათ ასევე წარმოადგინონ გერმანული ენის B2 დონის საერთაშორისო სერთიფიკატი ან საზღვარგარეთ გერმანულენოვანი ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტურანტურის პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი ან უნდა ჩააბარონ უნივერსიტეტის მიერ დაწესებული შიდა გამოცდა გერმანულ ენაში. გერმანულ ენაში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი არის მაქსიმალური შეფასების 60%“ (https://www.ug.edu.ge/ge/programs/3). მიუხედავად იმისა, რომ „დოქტორანტურის დებულება“ სრულიად ლოგიკურად ითვალისწინებს შესაძლებლობას, დოქტორანტურის პროგრამით განისაზღვროს ინგლისურის ნაცვლად ან მასთან ერთად სხვა უცხოური ენის ცოდნის აუცილებლობა *(„სადოქტორო პროგრამა“, მუხლი 2.4. „ე“)*, სასურველია, არ არსებობდეს შეუსაბამობა „პროგრამაზე“ მიღების წინაპირობის ნაწილში „სადოქტორო პროგრამასა“ და ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას შორის.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, ხორციელდება მობილობის წესით, რაც თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებთან. ამასთან, „დოქტორანტურის დებულების“ მიხედვით, თუ მობილობის მსურველი სტუდენტი „უნივერსიტეტში“ მობილობის შემთხვევაში არ იცვლის მიმართულებას/თემას, „უნივერსიტეტში“ მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების ერთ-ერთ სავალდებულო ალტერნატივად განსაზღვრულია მისი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის თანხმობა, იყოს სტუდენტის თანახელმძღვანელი უნივერსიტეტში დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების პერიოდში და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში (*„დოქტორანტურის დებულება“, მუხლი 5.5.*). აღნიშნული დანაწესი გარკვეულწილად შეიძლება მიჩნეული იქნას, როგორც სტუდენტისათვის შესაძლებლობის მიცემა, საკვლევ თემაზე მუშაობა გააგრძელოს მის ყოფილ ხელმძღვანელთან თანახელმძღვანელის სტატუსით, რაც, ბუნებრივია, ემსახურება არამარტო კვლევის ეფექტურად წარმართვის მიზანს, არამედ სტუდენტის ინტერესებსაც.

„პროგრამაზე“ მიღების წინაპირობების გამჭვირვალობაზე მიუთითებს, ასევე, „უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე განთავსებული საკონტაქტო ინფორმაცია, რაც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირს მიმართოს „უნივერსიტეტის“ შესაბამის საკონტაქტო პირს დამატებითი კონსულტაციისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა, დამტკიცებულია 2006 წლის 30 ნოემბერს, განახლებულია 2019 წლის 13 აგვისტოს
- დოქტორანტურის დებულება, დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 07 ოქტომბრის #64/19 ოქმით
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მიზანშეწონილია, „უნივერსიტეტის“ მიერ გამოსწორდეს შემდეგი ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობები/ხარვეზები:

(1) „სადოქტორო პროგრამიდან“ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციდან ამოღებული იქნას სამაგისტრო ნაშრომი;

(2) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უცხო ენის ცოდნის მიმართ დადგენილ კრიტერიუმებთან დაკავშირებით შესაბამისობაში მოვიდეს „სადოქტორო პროგრამასთან“.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

„სადოქტორო პროგრამა“ შემუშავებულია „უნივერსიტეტში“ მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის (შემდგომში „ინსტრუქცია“) საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს „უნივერსიტეტში“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ამსახველ დოკუმენტს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმსა და პროცედურებს.

„ინსტრუქციისა“ და „უნივერსიტეტის“ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით „საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება ხდება სკოლის დირექტორის ან/და შესაბამის სკოლაში შემავალი დეპარტამენტის უფროსის მიერ, რომელიც სკოლის საბჭოს წარუდგენს დასკვნას პროგრამის მიზანშეწონილობის თაობაზე. სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყების შესახებ და განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს/სამსახურებს. შესაბამისი დოკუმენტების შემუშავების შემდეგ, საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს თვითშეფასების, პროგრამისა და სილაბუსების უმაღლესი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოს უნივერსიტეტის დებულებებთან შესაბამისობას. ადამიანური რესურსების პირადი საქმეებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფას ახდენს საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი (*თვითშეფასების ანგარიში, გვ. 13; „ინსტრუქცია“, გვ. 1-2*).

„უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის საბჭოს სხდომის ოქმებით (*2019 წლის 09 აპრილის #09-19 ოქმი; 2019 წლის 13 მაისის #10-19 ოქმი; 2019 წლის 09 აგვისტოს #17/19 ოქმი*), „უნივერსიტეტის“ სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის განვითარების საბჭოს სხდომის ოქმითა (*2019 წლის 03 ივლისის #01-19 ოქმი*) და ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ „პროგრამამ“ გაიარა „ინსტრუქციით“ განსაზღვრული პროცედურა და მექანიზმები, კერძოდ, არსებულ პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვისა და მოდიფიცირებული „პროგრამის“ შემუშავების მიზნით ჩამოყალიბდა სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის

შემადგენლობაც განისაზღვრა შემდეგი დაინტერესებული პირებით: სამართლის სკოლის დირექტორი, „სადოქტორო პროგრამის“ ხელმძღვანელი, სამართლის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები, პროგრამის კურსდამთავრებულები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები და გარე ექსპერტი. აღნიშნული დაინტერესებული პირების მოსაზრებებისა და „პროგრამის“ პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგების (სასწავლო პროცესით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, სალექციო კურსებითა და ლექტორებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, შრომის ბაზრის კვლევა, სილაბუსებში შესაბამისი რეკომენდაციების ასახვა და სხვ.) გათვალისწინებით პროგრამის განვითარების საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც მოდიფიცირებული „პროგრამა“ დამტკიცდა სამართლის სკოლის საბჭოს მიერ (*„უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის საბჭოს 2019 წლის 09 აგვისტოს #17/19 ოქმი*).

„პროგრამის“ შინაარსი ითვალისწინებს „პროგრამაზე“ დაშვების წინაპირობებს (*დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 2.1. სტანდარტი*), სწავლის შედეგებსა (*დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 1.2. სტანდარტი*) და სტრუქტურას. სასწავლო წლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 44 კვირით, ხოლო სემესტრის - 22 კვირით. „პროგრამა“ შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 ECTS კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი - 120 ECTS კრედიტს. დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლება დასრულებულად ითვლება და დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად დაძლევს „პროგრამით“ გათვალისწინებულ ყველა სასწავლო და კვლევით კომპონენტს და სადისერტაციო საბჭოს მიერ მიენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სასწავლო კომპონენტი შედგება მხოლოდ სავალდებულო ელემენტებისაგან: მეცნიერების ფილოსოფია (10 ECTS), სწავლება-შეფასების თანამედროვე სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში (5 ECTS), პროფესორის ასისტირება (სწავლების პრაქტიკა) (5 ECTS), რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (10 ECTS), თვისებრივი კვლევის მეთოდები (10 ECTS), კვლევითი პროექტების მართვა (10 ECTS) და სემინარი სპეციალობაში (10 ECTS). ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ სასწავლო კომპონენტში სავალდებულო სასწავლო კურსები სპეციალობაში სემინარის გარდა „უნივერსიტეტში“ ცენტრალიზებულია და შეადგენს „უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტის ნაწილს.

სასწავლო კომპონენტთან მიმართებით „პროგრამით“ დადგენილი სტრუქტურა და მოთხოვნები ვერ უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობის კრიტერიუმს, ვინაიდან (1) დოქტორანტს სავალდებულო წესით მოეთხოვება სასწავლო კურსით დადგენილი ყველა საგნის გავლა და შესაბამისი შეფასების მოპოვება, რაც, ბუნებრივია, არ აძლევს დოქტორანტს შესაძლებლობას თავად განსაზღვროს მისი სასწავლო პროფილი და შეიძინოს ცოდნა საკუთარი სურვილის შესაბამისად და მისი

საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში ამ უკანასკნელთა არარსებობის გამო; (2) სამართლის სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სავალდებულო წესით იმგვარი სასწავლო კურსების სავალდებულო კომპონენტად განსაზღვრა, როგორიცაა, მაგალითად მეცნიერების ფილოსოფია და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, შეიძლება არ იყოს რელევანტური ყველა დოქტორანტისათვის სამართლის სფეროში სადისერტაციო ნაშრომის საკვლევი საკითხის დამუშავებისა და შესრულების მიზნით ან სწავლების წინა საფეხურზე მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით დოქტორანტს არ ესაჭიროებოდეს სავალდებულო წესით ამ კურსების დამატებით შესწავლა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, „პროგრამის“ სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნას იმგვარად, რომ გარკვეულ საგნებთან მიმართებით სამართლოს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე „პროგრამამ“ განსაზღვროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევითობის მოდელი და ამ თვალსაზრისით გარკვეულწილად გახდეს დეცენტრალიზებული.

კვლევითი კომპონენტის ეტაპები მოიცავს დოქტორანტის მიერ 2 სამეცნიერო სტატიის, კონფერენციისთვის მოხსენების, სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და წინასწარი დაცვის ეტაპებს. სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გათვალისწინებულია კოლოქვიუმი I, წინასწარი განაცხადი და კოლოქვიუმი II. კოლოქვიუმი I-ის მიზანია „საკვლევი პრობლემის აქტუალობის შესახებ მოძიებული სპეციალური ლიტერატურის სისრულისა და შესაბამისობის, კვლევის განხორციელებისთვის შერჩეული მეთოდების ადეკვატურობისა და მასალის ქრონოლოგიურ და კონცეპტუალურ ჩარჩოთა ფარგლებში ორგანიზების ეფექტურობის ხარისხის შეფასება“ (*დოქტურანტურის დებულების დანართი N4 „სამართლის სკოლის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი“*). წინასწარი განაცხადით წარმოებს საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული ინფორმაციის სინთეზირება, თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა, ვალიდური მეთოდების გამოყენებით წინასწარი კვლევის შედეგების მეცნიერული სიახლის, თეორიული და პრაქტიკული ღირებულების წარმოჩენა და წინასწარი კვლევის შედეგების ასახვა ნაშრომის სტრუქტურაში. კოლოქვიუმი II-ის მიზანი კი „სადისერტაციო ნაშრომის ფორმატში დამუშავებული და წარმოდგენილი საკვლევი პრობლემის ან კვლევის ამოცანის შესახებ მიღებული მონაცემების სიახლის, სანდოობისა და კვლევის ფარგლებში გენერირებული ახალი ცოდნის მეცნიერული ღირებულების“ შეფასებაა (*დოქტურანტურის დებულების დანართი N4 „სამართლის სკოლის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი“*). აღსანიშნავია, რომ კვლევითი კომპონენტის აღნიშნული ელემენტები არ ფასდება ქულებით და, შესაბამისად, დოქტორანტს, მათი შესრულების შემდეგ კრედიტი არ ენიჭება. მითითებულ კომპონენტებთან მიმართებით გაიცემა რეკომენდაციები სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს მიერ, რომელიც შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დოქტორანტის ხელმძღვანელის, საკვლევი თემის შესაბამისი მიმართულების/დეპარტამენტის ხელმძღვანელის, შესაბამისი დარგის სპეციალისტისა და,

არსებობის შემთხვევაში, თანახელმძღვანელისგან. საბჭოს შემადგენლობისა და მისი ფუნქციების გაანალიზების, ისევე, როგორც ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ამგვარი საბჭოს არსებობა და ფუნქციონირება მიმართულია დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომისა და კვლევითი მიმართულების ხელშესაწყობად და, საბოლოო ჯამში, დიდწილად განაპირობებს „პროგრამის“ მიზნების მიღწევაში აქტიური როლის შესრულებას.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება ხდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით სადისერტაციო საბჭოს მიერ, რომელიც შედგება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებისა (ხელმძღვანელის გარდა) და ექსპერტებისაგან (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რომლებიც არ წარმოადგენენ „უნივერსიტეტის“ აკადემიურ პერსონალს).

აღსანიშნავი და მისასალმებელია „უნივერსიტეტში“ დანერგილი რეგულაციები სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე მისი შემოწმების პროცედურასთან მიმართებით. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი: სადისერტაციო ნაშრომი მისი წინასწარი დაცვის შემდგომ მის დაცვამდე „უნივერსიტეტის“ მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით მოწმდება „უნივერსიტეტის“ სარედაქციო განყოფილების უფროსის მიერ (*დოქტორანტურის დებულება, მუხლი 19*). აღსანიშნავია რომ პლაგიატის პრევენციის მიზნით „უნივერსიტეტში“ არსებობს პლაგიატის სისტემა, რომელიც გამოიყენება არა მექანიკურად და ფორმალურად, არამედ წარმოებს სისტემის შედეგად გამოვლენილი შედეგების შესაბამისი ანალიზი და შეფასება.

ასევე, აღსანიშნავია „უნივერსიტეტში“ მოქმედი ჰუმანურ საკითხთა საბჭოს ფუნქციები, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ კვლევის ჩატარებისას გამოსაყენებელი აქტივობებისა და კვლევის ინსტრუმენტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათ შორის ეთიკური ნორმებისა და ადამიანის უფლებებისა და ღირსების შესაძლო დარღვევების პრევენციას (*დოქტორანტურის დებულება, მუხლი 20*).

მისასალმებელია ინტერდისციპლინური კვლევების არსებობის შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილია თანახელმძღვანელის ჩართვის შესაძლებლობის მექანიზმით. იმ პირობებში, როდესაც ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ „უნივერსიტეტის“ აკადემიური პერსონალის წევრი, ამგვარი მოთხოვნა თანახელმძღვანელთან მიმართებით არ არსებობს, რაც, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება აუცილებელი იყოს ინტერდისციპლინური კვლევის ეფექტურად წარმართვის მიზნებიდან გამომდინარე.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, რაც, ასევე დადასტურდა ინტერვიუს პროცესში, „უნივერსიტეტი“ „პროგრამის“ გასაუმჯობესებელ ასპექტად მიიჩნევს „პროგრამის“ ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას, რაც, მათ შორის მოიცავს უცხოელი სპეციალისტების ჩართვასა და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობას „პროგრამის“

დახვეწის პროცესში და გეგმავს ამ მიმართულებით აქტიური საქმიანობის განხორციელებას.

„პროგრამის“ კომპეტენციების მატრიცა აღწერს თითოეულ კურსსა და „პროგრამით“ განსაზღვრულ სასწავლო და კვლევით კომპონენტებთან მიმართებით შესაბამის სწავლის შედეგებს. აღნიშნულ რუკაზე დაყრდნობით, აკრედიტაციის მიზნით „უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუს შედეგებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „პროგრამა“ ხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, შეიძლება ითქვას, რომ „პროგრამის“ შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და „პროგრამის“ საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პრობლემურია და საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ შეიძლება იქნას მიჩნეული კვლევითი კომპონენტის „პროგრამის“ მიერ 120 ECTS კრედიტით განსაზღვრა. კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46.2 „გ“ პუნქტის შესაბამისად დადგენილია, რომ „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. აღნიშნული მუხლის დანაწესით ცალსახად დგინდება მხოლოდ სასწავლო კომპონენტისათვის განსასაზღვრი კრედიტების ოდენობის მაქსიმალური ზღვარი. კანონი არაფერს ამბობს კვლევით კომპონენტთან ან/და მისთვის დასადგენ კრედიტების ოდენობასთან დაკავშირებით, ამასთან, ზოგადად განსაზღვრავს პროგრამის ხანგრძლივობის მინიმალურ ვადას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კანონში 2018 წლის 20 სექტემბრის ცვლილებამდე არსებული რედაქციით ზემოაღნიშნული მუხლი ითვალისწინებდა დოქტორანტურისათვის არანაკლებ 180 კრედიტით განსაზღვრას. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2018 წლის 20 სექტემბრის ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათის (შემდგომში „განმარტებითი ბარათი“) მიხედვით პროექტის ავტორი ზემოაღნიშნულ მუხლში ცვლილების განხორციელებას (დოქტორანტურისათვის არანაკლებ 180 კრედიტით განსაზღვრის გაუქმება; მხოლოდ სასწავლო კომპონენტის არაუმეტეს 60 კრედიტით განსაზღვრა და პროგრამის ხანგრძლივობის არანაკლებ 3 წლის ვადით დადგენა) ასაბუთებდა შემდეგი მოსაზრებით: „საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დოქტორანტურის საფეხურზე პროგრამის საერთო მოცულობა განისაზღვროს წლებით და არა - კრედიტებით. ამასთან, კრედიტით გაზომვადი უნდა იყოს დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო კომპონენტი, ხოლო სასწავლო და კვლევით კომპონენტს შორის თანაფარდობის თვალსაზრისით, აუცილებელია დადგინდეს, რომ დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ შეიძლება მოიცავდეს 60 კრედიტზე მეტს. აღნიშნული განაპირობებს დოქტორანტურის პროგრამის ორიენტირებას კვლევაზე და კვლევის დაგეგმვას ისე, რომ იგი სრულად იყოს მიმართული დოქტორანტის

| |
|---|
| დახმარებასა და სრულფასოვანი სამეცნიერო ნაშრომის შექმნაზე“. მიუხედავად იმისა, რომ კანონის დასახელებული მუხლი (მოქმედი რედაქცია) პირდაპირ არ ითვალისწინებს დოქტორანტურის პროგრამის კვლევითი კომპონენტისათვის კრედიტის მინიჭების აკრძალვას, მუხლის შინაარსი ამგვარი აკრძალვის განმარტების შესაბამისად უნდა იქნას მიჩნეული „განმარტებითი ბარათით“ განსაზღვრული მუხლის ცვლილების საჭიროებისა და მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კრედიტით გაზომვადის ნაცვლად დოქტორანტურის საფეხურზე პროგრამის მოცულობის წლებით განსაზღვრის თაობაზე მუხლში არსებული ჩანაწერიდან გამომდინარე. აღნიშნული დანაწესის მიუხედავად, საგანმანათლებლო სფეროს გარკვეულ ნაწილსა და ექსპერტებში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ კანონის ზემოაღნიშნული მუხლის ფორმულირება ადგენს მოთხოვნას მხოლოდ სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით და, ვინაიდან მუხლი კვლევით კომპონენტთან მიმართებით შეზღუდვასა თუ აკრძალვას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგოდ არ უნდა იქნას მიჩნეული კონკრეტული „პროგრამით“ კვლევის კომპონენტის მოცულობის კრედიტებით განსაზღვრა. ამ მოსაზრების გამოხატულებაა 2018 წლის 20 სექტემბერს კანონის დასახელებულ მუხლში შესაბამისი ცვლილების შემდგომ არაერთი იმგვარი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაცია, რომელიც კვლევითი კომპონენტისათვის ითვალისწინებს შესაბამის კრედიტებით განსაზღვრას.<br>ამდენად, აღნიშნული საკითხის მიმართ პრაქტიკაში არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა „სადოქტორო პროგრამის“ კვლევითი კომპონენტის 120 ECTS კრედიტით განსაზღვრა განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46.2 „გ“ პუნქტს. აღნიშნულის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება წინამდებარე დასკვნის შეფასების ნაწილი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ „უნივერსიტეტის“ თვითშეფასების ანგარიში<br>○ სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა, დამტკიცებულია 2006 წლის 30 ნოემბერს, განახლებულია 2019 წლის 13 აგვისტოს<br>○ სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კომპეტენციების მატრიცა/კურიკულუმის რუკა<br>○ დოქტორანტურის დებულება, დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 07 ოქტომბრის #64/19 ოქმით<br>○ დოქტურანტურის დებულების დანართი N4 „სამართლის სკოლის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ოქტომბრის N 64/19 ოქმით)<br>○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია (*დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 ოქმის საფუძველზე; ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს 55/19 ოქმით*) |

- „უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის საბჭოს 2019 წლის 09 აპრილის #09-19 სხდომის ოქმი
- „უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის საბჭოს 2019 წლის 13 მაისის #10-19 ოქმი
- „უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის საბჭოს 2019 წლის 09 აგვისტოს #17/19 ოქმი
- „უნივერსიტეტის“ სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის განვითარების საბჭოს 2019 წლის 03 ივლისის #01-19 სხდომის ოქმი
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

მიზანშეწონილია, „პროგრამის“ სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნას იმგვარად, რომ გარკვეულ საგნებთან მიმართებით სამართლოს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე „პროგრამამ“ განსაზღვროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევითობის მოდელი, რაც უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობის კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილებას და შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს, თავად განსაზღვრონ საკუთარი სასწავლო პროფილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის

შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

„სადოქტორო პროგრამის“, „პროგრამის“ კომპეტენციების მატრიცისა (კურიკულუმის რუკა) და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ სწავლის შედეგები აკმაყოფილებს დოქტორანტურის საფეხურისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს „პროგრამის“ სწავლის შედეგების მიღწევას.

„პროგრამით“ გათვალისწინებული სასწავლო კურსების მეშვეობით დოქტორანტი იძენს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ცოდნასა და უნარებს. კვლევითი საქმიანობისათვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების შეძენა ხორციელდება სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული შემდეგი სასწავლო კურსებით: მეცნიერების ფილოსოფია, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, თვისებრივი კვლევის მეთოდები, კვლევითი პროექტების მართვა და სემინარი სპეციალობაში. პედაგოგიური საქმიანობისათვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების შეძენაზე კი ორიენტირებას ახდენს სწავლება-შეფასების თანამედროვე სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში და პროფესორის ასისტირება. აღნიშნულის მიუხედავად, სასწავლო კომპონენტის ყველა სალექციო კურსის სავალდებულობისა და სამართლის სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, გარკვეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით ზოგიერთ შემთხვევევაში შეიძლება დადგეს საკითხი, რამდენად შეიძლება კონკრეტულ დოქტორანტს საკვლევი საკითხის თემატიკიდან გამომდინარე სავალდებულო წესით ესაჭიროებოდეს ცოდნისა და უნარების შეძენა, მაგალითისათვის, მეცნიერების ფილოსოფიასა და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებში. ავღნიშნავთ, რა, რომ მითითებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები თანხვედრაშია „პროგრამის“ სწავლის შედეგებთან, მიზანშეწონილია, „პროგრამა“ უფრო მოქნილი გახდეს ყველა დოქტორანტთან მიმართებით და ორიენტაცია მოახდინოს მეტწილად სტუდენტის ინტერესებსა და მისთვის თავისუფალი არჩევანის მიცემის შესაძლებლობაზე. ამ გზით დოქტორანტს, მისი საკვლევი თემატიკის არსის, მისი პროფესიული გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით, შესაძლებლობა ექნება, თავად გადაწყვიტოს, კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის განსახორციელებლად მისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარის შესაბამისი კურსი.

„პროგრამით“ გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს თითოეულისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული საგნის დატვირთვა გამოიხატება კრედიტების სისტემაში (1 (ECTS) კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს,

| |
|---|
| რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელ სამუშაო დროს), ხოლო კრედიტების რაოდენობა თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში განსაზღვრულია ამ კონკერტული საგნის სპეციფიკის, მოცულობისა და მისი შესწავლისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით.<br><br>სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით ირკვევა, რომ შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოები და შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა უმეტესწილად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას. თუმცა, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული ლიტერატურა შედარებით მოძველებულად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება მეცნიერების ფილოსოფიის სასწავლო კურსს, რომლის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა თარიღდება 2004-2007 წლებით; თვისებრივი კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი გამოსაყენებელ ლიტერატურად უთითებს 2003-2014 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებს, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსში კი ლიტერატურა თარიღდება 1994-2012 წლებით. ამდენად, მიზანშეწონილია მითითებული სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლება შესაბამისი დარგის თანამედროვე მიღწევებზე ორიენტაციის მიზნით.<br>სილაბუსებით განსაზღვრული სასწავლო მასალები წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა, დამტკიცებულია 2006 წლის 30 ნოემბერს, განახლებულია 2019 წლის 13 აგვისტოს<br>○ სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კომპეტენციების მატრიცა/კურიკულუმის რუკა<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>აუცილებელია, განხორციელდეს სილაბუსების გადახედვა, დაემატოს ან განახლდეს ლიტერატურა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>„პროგრამის“ სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული სასწავლო კურსები უზრუნველყოფს „სადოქტორო პროგრამის“ სწავლის შედეგების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური უნარების განვითარებას. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსი „სემინარი სპეციალობაში“ და კვლევითი კომპონენტი საშუალებას აძლევს დოქტორანტებს გამოიმუშავონ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო უნარები. სასწავლო კურსი პროფესორის ასისტირება (სწავლების პრაქტიკა) დოქტორანტებს საშუალებას აძლევს პრაქტიკულად განახორციელონ პედაგოგიური საქმიანობა და გამოიმუშავონ შესაბამისი უნარები. აღნიშნულ სასწავლო კურსებში დოქტორანტს ხელმძღვანელობას უწევს შესაბამისი დარგის კვალიფიციური პირი, კვლევითი კომპონენტის ფარგლებში კი - შესაბამისი კვალიფიციური ხელმძღვანელი.<br><br>დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება აქტუალურ თემაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელის ხელმძღვანელობითა და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელის ჩართულობით. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ბეჭდური და ელექტრონული სამეცნიერო ლიტერატურითა და ელექტრონულ რესურსებზე თავისუფალი წვდომით. „უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს დოქტორანტებს Hein Online-თან წვდომის |

შესაძლებლობით, რაც მნიშვნელოვანია სამართლის სხვადასხვა საკითხებზე კვლევის ეფექტურად განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ბაზასთან წვდომის შესაძლებლობა დოქტორანტებს გააჩნიათ მხოლოდ „უნივერსიტეტის“ შენობაში არსებული კომპიუტერებიდან, რაც გარკვეულ უხერხულობას შეიძლება ქმნიდეს სტუდენტისათვის. შესაბამისად, მიზანშეწონილია, Hein Online-თან წვდომის შესაძლებლობა დოქტორანტებს მიეცეთ არა მხოლოდ „უნივერსიტეტის“ შენობაში არსებული კომპიუტერებიდან, არამედ ნებისმიერი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით „უნივერსიტეტის“ შენობის ფარგლებს გარეთაც.

კვლევითი უნარების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „პროგრამის“ კვლევითი კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული მექანიზმები და პროცედურა, რაც მოიცავს დოქტორანტის მიერ 2 სამეცნიერო სტატიის, კონფერენციისთვის მოხსენების, სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და წინასწარი დაცვის ეტაპებს და, რომლის პროცესშიც დოქტორანტის ხელშეწყობის აქტიური როლის შემსრულებელი მის ხელმძღვანელსა და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელთან ერთად, სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოა. კვლევის წარმოების ეტაპზე ხელმძღვანელთან რეგულარული კონსულტირების პროცესი და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები დოქტორანტის მიერ მომზადებულ კოლოქვიუმი I-ზე, წინასწარ განაცხადსა და კოლოქვიუმი II-ზე სწორედ სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების ერთ-ერთი უზრუნველმყოფი მექანიზმია. საბჭოს შემადგენლობისა და მისი ფუნქციების გაანალიზების, ისევე, როგორც ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ამგვარი საბჭოს არსებობა და ფუნქციონირება მიმართულია დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომისა და კვლევითი მიმართულების ხელშესაწყობად და, საბოლოო ჯამში, დიდწილად განაპირობებს „პროგრამის“ მიზნების მიღწევაში აქტიური როლის შესრულებას.

აკრედიტაციის მიზნებისათვის „უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ „უნივერსიტეტი“ ატარებს სხვადასხვა სახის კონფერენციებს აქტუალურ საკითხებზე და სტუდენტებს აძლევს აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. ამასთან, „უნივერსიტეტში“ ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს „უნივერსიტეტის“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა, მისი განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინაცია, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვა, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის საქმიანობის კოორდინაცია, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მართვის ხელშეწყობა და კოორდინაცია და სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა

(*სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება, მუხლი 2*).

აღსანიშნავია, რომ დოქტორანტი უფლებამოსილია, მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად „უნივერსიტეტის“ მიერ დადგენილი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით (*დოქტურანტურის დებულების დანართი N13 „დოქტორანტურის სტუდენტისათვის გრანტის გაცემის წესი“*).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა, დამტკიცებულია 2006 წლის 30 ნოემბერს, განახლებულია 2019 წლის 13 აგვისტოს
- დოქტორანტურის დებულება, დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 07 ოქტომბრის #64/19 ოქმით
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- დოქტურანტურის დებულების დანართი N13 „დოქტორანტურის სტუდენტისათვის გრანტის გაცემის წესი“, დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 ოქტომბრის N 66/18 ოქმით
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება, დამტკიცებულია რექტორის 2012 წლის 12 ოქტომბრის N281/12 ბრძანებით
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

„სადოქტორო პროგრამის“ განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია გაფართოვდეს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზების დაგეგმვა-განხორციელების პროცესი უცხოელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების ჩართულობით ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით. ეს ხელს შეუწყობს „პროგრამის“ ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას და დოქტორანტის კვლევითი უნარების განვითარებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

„სადოქტორო პროგრამის“ სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლების მეთოდები შეესაბამება სადოქტორო პროგრამის საფეხურს, კურსის შინაარს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და „პროგრამით“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და აკმაყოფილებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის მოთხოვნებს.

სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს კურსის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და მიზნების მიღწევის მეთოდიკას. სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერითი მუშაობის, პრობლემური სწავლების, კრიკიტული ანალიზის, გუნდური მუშაობის, შემთხვევის განხილვის, ახსნა-განმარტებისა და დისკუსია-დებატების მეთოდი. მაგალითისათვის ახსნა-განმარტების მეთოდი ხელს უწყობს დოქტორანტს, ლოგიკურად და კონსტრუქციულად ჩამოაყალიბოს მსჯელობა და მიმართულია დოქტორანტის პედაგოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. დისკუსია-დებატების მეთოდი უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას და ამ თვალსაზრისით ხელს უწყობს დოქტორანტის დასაბუთებული მსჯელობის უნარის განვითარებას. წერითი მუშაობის მეთოდი, ბუნებრივია, მიმართულია დოქტორანტის წერითი უნარების განვითარებაზე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომის ეფექტურად შესრულების თვალსაზრისით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა, დამტკიცებულია 2006 წლის 30 ნოემბერს, განახლებულია 2019 წლის 13 აგვისტოს
- სასწავლო კურსის სილაბუსები

| |
|---|
| ○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>„სადოქტორო პროგრამის“ დოქტორანტების შეფასება ხდება „სადოქტორო სწავლების დებულებითა“ და სასწავლო სილაბუსებით გათვალისწინებული წესით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის „უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე და სრულად შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის N3 ბრძანებას. |

„პროგრამის“ სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილია მრავალჯერადი შეფასების სისტემა, ხოლო კვლევით კომპონენტში, რომლის შედეგსაც წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომი - შეფასება ხდება ერთჯერადად, სადისერტაციო ნაშრომის დასკვნითი შეფასებით.

„სადოქტორო სწავლების დებულებითა“ და სასწავლო კურსის სილაბუსებით ირკვევა, რომ „პროგრამის“ სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით. სასწავლო კურსებით განსაზღვრული საერთო შეფასება მოიცავს შუალედური და დასკვნითი შეფასების სისტემას, რომელთაგანაც თითოეულს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, ამდენად, არის გამჭვირვალე, და წინასწარ ცნობილი დოქტორანტისათვის. მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა; თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა; (F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები.

კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ელემენტები (კოლოქვიუმი I, წინასწარი განაცხადი, კოლოქვიუმი II, წინასწარი დაცვა) არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია, ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება „სადოქტორო სწავლების დებულებითა“ და „უნივერსიტეტში“ მოქმედი „სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესისა და შეფასების კრიტერიუმებით“, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობის დანაწესებთან. სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება წარმოებს კომისიური წესით სადისერტაციო საბჭოს მიერ, რომელიც შედგება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებისა (ხელმძღვანელის გარდა) და ექსპერტებისაგან (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რომლებიც არ წარმოადგენენ „უნივერსიტეტის“

აკადემიურ პერსონალს). ამგვარად, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა, განსაზღვრულია, ასევე, დაცვის საჯარო ხასიათი.

„პროგრამა“ ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას მისი ხელმძღვანელის მიერ და ხელს უწყობს დოქტორანტს კვლევითი კომპონენტის წარმატებით დაძლევაში. ამგვარი ხელშეწყობის თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი აქვს, ასევე, სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს, რომელიც კვლევის სხვადასხვა ეტაპზე დოქტორანტს აძლევს რეკომენდაციებს კვლევის ეფექტურად წარმართვის მიზნით.

პრობლემურია  და საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ შეიძლება იქნას მიჩნეული კვლევითი კომპონენტის „პროგრამის“ მიერ 120 ECTS კრედიტით განსაზღვრა. კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46.2 „გ“ პუნქტის შესაბამისად დადგენილია, რომ „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. აღნიშნული მუხლის დანაწესით ცალსახად დგინდება მხოლოდ სასწავლო კომპონენტისათვის განსასაზღვრი კრედიტების ოდენობის მაქსიმალური ზღვარი. კანონი არაფერს ამბობს კვლევით კომპონენტთან ან/და მისთვის დასადგენ კრედიტების ოდენობასთან დაკავშირებით, ამასთან, ზოგადად განსაზღვრავს პროგრამის ხანგრძლივობის მინიმალურ ვადას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კანონში 2018 წლის 20 სექტემბრის ცვლილებამდე არსებული რედაქციით ზემოაღნიშნული მუხლი ითვალისწინებდა დოქტორანტურისათვის არანაკლებ 180 კრედიტით განსაზღვრას. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2018 წლის 20 სექტემბრის ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათის (შემდგომში „განმარტებითი ბარათი“) მიხედვით პროექტის ავტორი ზემოაღნიშნულ მუხლში ცვლილების განხორციელებას (დოქტორანტურისათვის არანაკლებ 180 კრედიტით განსაზღვრის გაუქმება; მხოლოდ სასწავლო კომპონენტის არაუმეტეს 60 კრედიტით განსაზღვრა და პროგრამის ხანგრძლივობის არანაკლებ 3 წლის ვადით დადგენა) ასაბუთებდა შემდეგი მოსაზრებით: „საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დოქტორანტურის საფეხურზე პროგრამის საერთო მოცულობა განისაზღვროს წლებით და არა - კრედიტებით. ამასთან, კრედიტით გაზომვადი უნდა იყოს დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო კომპონენტი, ხოლო სასწავლო და კვლევით კომპონენტს შორის თანაფარდობის თვალსაზრისით, აუცილებელია დადგინდეს, რომ დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ შეიძლება მოიცავდეს 60 კრედიტზე მეტს. აღნიშნული განაპირობებს დოქტორანტურის პროგრამის ორიენტირებას კვლევაზე და კვლევის დაგეგმვას ისე, რომ იგი სრულად იყოს მიმართული დოქტორანტის დახმარებასა და სრულფასოვანი სამეცნიერო ნაშრომის შექმნაზე“. მიუხედავად იმისა, რომ კანონის დასახელებული მუხლი (მოქმედი რედაქცია) პირდაპირ არ ითვალისწინებს დოქტორანტურის პროგრამის კვლევითი კომპონენტისათვის კრედიტის მინიჭების აკრძალვას, მუხლის შინაარსი ამგვარი აკრძალვის განმარტების შესაბამისად უნდა იქნას

| |
|---|
| მიჩნეული „განმარტებითი ბარათით“ განსაზღვრული მუხლის ცვლილების საჭიროებისა და მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კრედიტით გაზომვადის ნაცვლად დოქტორანტურის საფეხურზე პროგრამის მოცულობის წლებით განსაზღვრის თაობაზე მუხლში არსებული ჩანაწერიდან გამომდინარე. აღნიშნული დანაწესის მიუხედავად, საგანმანათლებლო სფეროს გარკვეულ ნაწილსა და ექსპერტებში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ კანონის ზემოაღნიშნული მუხლის ფორმულირება ადგენს მოთხოვნას მხოლოდ სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით და, ვინაიდან მუხლი კვლევით კომპონენტთან მიმართებით შეზღუდვასა თუ აკრძალვას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგოდ არ უნდა იქნას მიჩნეული კონკრეტული „პროგრამით“ კვლევის კომპონენტის მოცულობის კრედიტებით განსაზღვრა. ამ მოსაზრების გამოხატულებაა 2018 წლის 20 სექტემბერს კანონის დასახელებულ მუხლში შესაბამისი ცვლილების შემდგომ არაერთი იმგვარი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაცია, რომელიც კვლევითი კომპონენტისათვის ითვალისწინებს შესაბამის კრედიტებით განსაზღვრას.<br>ამდენად, აღნიშნული საკითხის მიმართ პრაქტიკაში არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა „სადოქტორო პროგრამის“ კვლევითი კომპონენტის 120 ECTS კრედიტით განსაზღვრა განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46.2 „გ“ პუნქტს. აღნიშნულის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება წინამდებარე დასკვნის შეფასების ნაწილი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა, დამტკიცებულია 2006 წლის 30 ნოემბერს, განახლებულია 2019 წლის 13 აგვისტოს<br>○ დოქტორანტურის დებულება, დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 07 ოქტომბრის #64/19 ოქმით<br>○ დოქტურანტურის დებულების დანართი N4 „სამართლის სკოლის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ოქტომბრის N 64/19 ოქმით)<br>○ დოქტორანტურის დებულების დანართი #11, „სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი და შეფასების კრიტერიუმები“, დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ოქტომბრის #64/19 ოქმით |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე |

| |
|---|
| ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |

საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სადოქტორო პროგრამის სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი.

აკრედიტაციის ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართალმცოდნეობის სადოქტორი პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს უნივერსიტეტის არაერთი თანამშრომელი.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ. სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.ug.edu.ge. სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, სასწავლო კურსების დასახელება, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემები.

საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ისეთი სამართლებრივი აქტები როგორებიცაა: საქართველოს უნივერსიტეტის შინაგანაწესი, დოქტორანტურის დებულება, დოქტორანტურის დებულების დანართები, მართვის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, რესურსებით სარგებლობის წესი, სტუდენტურ საქმეთა ცენტრის დებულება, ღირსების კოდექსი და სხვა შიდასამართლებრივი აქტები.

დოქტორანტურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ სკოლის დირექტორის, პროგრამის ხელმძღვანელის და ასისტენტისაგანაც.

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დირექტორის სამუშაოს აღწერილობიდან დგინდება, რომ ის სტუდენტს უწევს დახმარებას აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებში. სკოლის დირექტორი შესაბამისი დეპარტამენტის უფროსთან ერთად, აწყობს რეგულარულ შეხვედრებს თავისი დეპარტამენტის სტუდენტებთან, განუმარტავს უნივერსიტეტის პოლიტიკას და აცნობს ინფორმაციას მათი აკადემიური მოსწრების შესახებ.

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის სამუშაოს

აღწერილობიდან კი დგინდება, რომ მისი მოვალეობაა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება-გავრცელება.

ამასთან, დეპარტამენტის უფროსის სამუშაოს აღწერილობის თანახმად, დეპარტამენტის უფროსი აწყობს რეგულარულ შეხვედრებს თავისი დეპარტამენტის სტუდენტებთან, განუმარტავს უნივერსიტეტის პოლიტიკას და აცნობს ინფორმაციას მათი აკადემიური მოსწრების შესახებ.

ყურადღებას იპყრობს სტუდენტთა კონსულტირების პროცესში სამართლის სკოლის ასისტენტის ფუნქციაც. ეს თანამშრომელი სკოლის დირექტორის დაქვემდებარებაშია და მის მოვალეობაში შედის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მშობლებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაცია. ამავე თანამშრომლის მოვალეობაა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მიაწოდოს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია.

ადმინისტრციული რესურსების დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ სამართლის სკოლის ასისტენტი უნივერსიტეტის ფოიეში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას კონსულტირებას უწევს უნივერსიტეტის სტუდენტებს. თუმცა, ეს თანამშრომელი ასრულებს მასზე დაკისრებულ სხვა მოვალობებსაც, ისეთი როგორებიცაა: სკოლის დირექტორისათვის მართვის ელექტრონულ სისტემაში (Online UG) სკოლის მიერ სემესტრულად შეთავაზებული საგნების რეგისტრაციაში დახმარება, საოფისე დოკუმენტაციის წარმოება, შუალედურ და ფინალური გამოცდებზე დასწრება; სკოლის დირექტორთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად პროგრამების განახლება/გაუმჯობესებაზე მუშაობა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ სამართლის სკოლის ასისტენტი მნიშვნელოვანი რგოლია დაინტერესებულ პირთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების საკითხში. სამართლის სკოლის ასისტენტი, სხვა ფუნქციების პარალელურად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაში.

საკონსულტაციო სერვისების ჭრილში აღსანიშნავია საქართველოს უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოც (შემდგომში - საბჭო). საბჭო წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს, რომლის მიზანიც არის ხელი შეუწყოს დოქტორანტს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესრულებაში. საბჭო დოქტორანტს აძლევს რეკომენდაციებს მის მიერ სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტით შესასრულებელ ყველა ნაწილთან/ეტაპთან მიმართებაში, რაც მოიცავს 2 სამეცნიერო სტატიის, კონფერენციისთვის მოხსენების და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი უნივერსიტეტში წარმატებულად მუშაობს.

კომუნიკაციის საშუალებებად უნივერსიტეტში ეფექტურად გამოიყენება „ჩემი UG-ს“ (შემდგომში - My UG) სპეციალური ელექტრონული პორტალი. ამავდროულად კონსულტაციის საშუალებებად გამოიყენება ელ-ფოსტა, სატელეფონო შეტყობინებები და ზარები, სოციალური ქსელებში შექმნილი სპეციალური ჯგუფები და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროცესის მართვის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში სტუდენტს აქვს პირადი გვერდი. ამ გზით, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო

ინფორმაცია, გაგზავნოს განცხადება, ეკონტაქტოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრებსა თუ პედაგოგებს. პირად გვერდზე სტუდენტი ეცნობა სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გამოცდებზე მიღებულ შეფასებებს, სასწავლო კურსის ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაციას და სხვ. ინტერვიუირების პროცესში სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება My UG-ის ელექტრონულ პორტალთან დაკავშირებით. სტუდენტები მას აღწერენ როგორც ინფორმაციის ეფექტურ წყაროს.

საქართველოს უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 მარტის №08-12 ოქმით დამტკიცებული სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულების თანახმად, უნივერსიტეტის როგორც სრულ, ისე არასრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალი ვალდებულია განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება.

ვიზიტის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია პირადი შეხვედრების გზით მიიღონ როგორც ნაშრომის ხელმძღვანელისაგან, ისე სხვა აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან. გარდა ამისა, პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას ელექტრონული პორტალის, ელ-ფოსტის, სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, ისინი ყოველსემესტრულად უზრუნველყოფენ საკონსულტაციო დროის შესახებ ინფორმაციის გამოკვრას სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. თუმცა, უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია უნივერსიტეტის ფოიეში განთავსებულ სპეციალურ სტენდზე სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალის საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, სადოქტორო პროგრამის სტუდენტები, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის სხვა წყაროების გარდა, სხვა პროგრამების ფარგლებში გამოკრული საკონსულტაციო საათებიდან და სასწავლო ცხრილებიდან შეძლებენ აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დროის შესახებ ინფორმაციის მიღებას და პერსონალთან პირად შეხვედრას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განმარტებით, კომუნიკაციის ძირითად საშუალებად გამოიყენება უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალი MY UG. ამასთან ერთად, კომუნიკაციის გავრცელებული ფორმებია სოციალური ქსელები, სატელეფონო და პირადი კონსულტაციები.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის როლი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის საკითხშიც. საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულების თანახმად, უნივერსიტეტის პრორექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია დასაქმების ხელშეწყობის სამსახური. ამ სამსახურის ძირითადი ფუნქციებია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა. სამსახური კრებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, უზიარებს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს MY UG-ს ელექტრონული გვერდის და სოციალური ქსელების

საშუალებით. სამსახური ეხმარება სტუდენტებს მოკლე ავტობიოგრაფიების (CV) შევსებასა და დამსაქმებლისათვის გადაგზავნაში. სამსახური პერიოდულად ატარებს ტრეინინგებს.

ინტერვიურების დროს, სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ საქართველოს უნივერსიტეტის მხრიდან ისინი პერიოდულად იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიებისა და ტრეინინგების შესახებ. ინფორმაციის მოწოდების ძირითად წყაროდ სტუდენტები და კურსდამთავრებულები MY UG-ს ელექტრონულ პორტალს და სოციალურ ქსელებში შექმნილ სპეციალურ ჯგუფებს ასახელებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს არაერთი მემორანდუმი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ორგანიზაციასთან პრაქტიკის მიმართულებით თანამშრომლობას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის რამდენიმე პარტნიორ დამსაქმებლის წარმომადგენელს. ინტერვიუს ესწრებოდნენ „თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისა“ და „საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ინსტიტუტის“ წარმომადგენლები.

„თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია რეგულარულად აწვდის უნივერსიტეტს ინფორმაციას იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებსაც მომავალ კადრებს უყენებს. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ექსპერტებს განუმარტა, რომ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ფორმალურად უკვე აქვთ უფლება დასაქმდნენ მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე. თუმცა, უფროსი მეცნიერ თანამშრომლისა და მთავარი მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე დასაქმების უფლებას სადოქტორო პროგრამის სტუდენტები მოიპოვებენ მხოლოდ კურსდამთავრებულის სტატუსის მიღების შემდეგ.

„საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ინსტიტუტის“ თანამშრომელმა კი აღნიშნა, რომ ინსტიტუტი ახორციელებს არაერთ პროექტს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები.

უნდა აღინიშნოს, რომ „თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი უნივერსიტეტთან პედაგოგიური მიმართულებითაც თანამშრომლობს. მას აკადემიური თანამდებობა აქვს უნივერსიტეტში და ჩართულია არაერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში. რაც შეეხება, „საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ინსტიტუტს“ , ის საინტერესო სამეცნიერო აქტივობებს ახორციელებს, თუმცა გარე პარტნიორ დამსაქმებლად ვერ ჩაითვლება.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული დამსაქმებლები უნივერსიტეტთან პარალელურ რეჟიმში თანამშრომლობენ. როგორც დამსაქმებლები, ისინი არ წარმოადგენენ მსხვილ პარტნიორს უნივერსიტეტისათვის.

საერთო ჯამში, უნივრსიტეტის როლი კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით თვალსაჩინოა. თუმცა, დამსაქმებელთა წრის გაფართოება უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის მეტი შედეგის მომტანი იქნება.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ საქართველოს უნივერსიტეტმა შეისწავლა შრომის ბაზარი. კვლევის შედეგები აისახა შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში, რომელშიც ასახულია შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა,

| |
|---|
| პრობლემები და ძირითადი გამოწვევები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა;<br>• სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;<br>• დოქტორანტურის დებულება;<br>• საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულება;<br>• სამუშაოს აღწერილობები;<br>• სასწავლო და სამეცნიერო პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;<br>• შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;<br>• მემორანდუმები;<br>• ინტერვიუირების შედეგები;<br>• დაწესებულების ვებ-გვერდი. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, კერძოდ გაიზარდოს პარტნიორ დამსაქმებელთა რაოდენობა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის საკონსულტაციო სივრცე, სადაც სტუდენტს ერთი სარკმლის პრინციპის გათვალისწინებით შეუძლია მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროცესის, ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასევე ისარგებლოს კანცელარიის სერვისებით. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

| |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია, აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.<br><br>აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა პროფესიონალიზმიც დასტურდება, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მიღებული განათლებით პროფესიული პრაქტიკით, აკადემიური ნაშრომებით, სამეცნიერო აქტივობით და სხვ. აკადემიური პერსონალი თითქმის სრულად დაკომპლექტებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით, რაც მისასალმებელია.<br><br>უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით.<br><br>საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში მოქმედებს „დოქტორანტურის დებულება“, რომლითაც დარეგულირებულია სადოქტორო პროგრამაზე მიღების, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობისა და დაცვის წესები.<br><br>აღნიშნული „დებულების“ მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელმძღვანელი განსაზღვრავს დოქტორანტის კვლევის მიმართულებას, ახდენს კვლევის შედეგებისა და სადისერტაციო ნაშრომის მონიტორინგს, აძლევს რჩევებს კვლევის მეთოდებისა და მონაცემთა ანალიზის თაობაზე, მასთან ერთად განიხილავს დოქტორანტის კვლევის შედეგებს და სტატიებს.<br><br>საქართველოს უნივერსიტეტში დოქტორანტს შეიძლება ხელმძღვანელობდეს მხოლოდ ამავე უნივერსიტეტს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. თუმცა გამონაკლის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება ჰყავდეს გარე თანახელმძღვანელიც. „დოქტორანტურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ მობილობის მსურველი სტუდენტი უნივერსიტეტში მობილობის შემთხვევაში არ იცვლის მიმართულებას/თემას, ის უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი გამოთქვამს თანხმობას იყოს სტუდენტის თანახელმძღვანელი უნივერსიტეტში დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების პერიოდში და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სამეცნიეროსაკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში. შესაბამისად, მობილობით საქართველოს უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემთხვევაში დოქტორანტს მისი ყოფილი ხელმძღვანელი თანახელმძღვანელობას გაუწევს.<br><br>დოქტორანტთა ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ მათ რეგულარული კონსულტაციები აქვთ სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას.<br><br>დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო- |

| |
|---|
| საკონსულტაციო საბჭო. „სამართლის სკოლის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესის“ 1-ლი მუხლის თანახმად, სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულ კოლეგიურ ორგანოს, რომლის მიზანიც არის ხელი შეუწყოს დოქტორანტს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესრულებაში. წინამდებარე წესი დოქტორანტურის დებულებასთან ერთად არეგულირებს სამართლის სკოლაში საბჭოების საქმიანობას. ამავე წესის მე-2 მუხლის თანახმად, საბჭო დოქტორანტს აძლევს რეკომენდაციებს მის მიერ სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტით შესასრულებელ ყველა ნაწილთან/ეტაპთან მიმართებაში, რაც მოიცავს 2 სამეცნიერო სტატიის, კონფერენციისთვის მოხსენების და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას.<br><br>„დოქტორანტურის დებულების“ თანახმად, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე 3 წევრისგან, ხოლო თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში - 4 წევრისგან. საბჭოს შემადგენლობაში შედიან დოქტორანტის ხელმძღვანელი, საკვლევი თემის შესაბამისი მიმართულების/დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შესაბამისი დარგის სპეციალისტი და თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში). თუ დოქტორანტის ხელმძღვანელი იმავდროულად არის მიმართულების/დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს მესამე წევრად განისაზღვრება შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი. პირველივე სხდომაზე საბჭო შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც არ არის დოქტორანტის ხელმძღვანელი.<br><br>დადებითად უნდა შეფასდეს უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკაც, რომლის თანახმადაც ყოველწლიურად სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ნაწილი, და არა ყველა მათგანი, აცხადებს თემატიკას სადოქტორო კვლევის მიმართულებით.<br><br>უნივერსიტეტში დაცული სადოქტორო ნაშრომების სიით დადასტურდა, რომ დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ სათანადო კომპეტენციის კადრები. ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება ადექვატურია და შესაფერისია დოქტორანტთა მიერ საკვლევ თემასთან.<br><br>ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაცული სადოქტორო ნაშრომების სიასა და დაცულ ნაშრომებსაც. დაცული სადოქტორო ნაშრომების სათაურები აქტუალურია, აქვს სამეცნიერო სიახლე, ხოლო, შინაარსი დადებითად ფასდება.<br><br>აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერსიტეტში სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი და შეფასების კრიტერიუმები დადგენილია დოქტორანტურის დებულების №11 დანართით. შესრულებული სადისერტაციო ნაშრომები შეესაბამება მათი დაცვის პერიოდში დადგენილ რეგულაციებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა;<br>• დოქტორანტურის დებულება;<br>• დოქტურანტურის დებულების დანართი N 4 სამართლის სკოლის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი |

- დოქტურანტურის დებულების დანართი N 10 მოთხოვნები ნაშრომის გაფორების მიმართ - APA სტილი
- დოქტურანტურის დებულების დანართი N 11 სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი და შეფასების კრიტერიუმები
- პერსონალის პირადი საქმეები;
- სადისერტაციო ნაშრომები;
- დაცული სადოქტორო ნაშრომების სია ხელმძღვანელების მითითებით;
- სტუდენტების სადისერტაციო ნაშრომების სათაურების სია ხელმძღვანელების მითითებით;;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს არსებობა, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესრულებაში.
- უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი თავად აცხადებს იმ თემატიკას, რომლის არჩევის საშუალებაც ეძლევა დოქტორანტურის სტუდენტს. ამ გზით უნივერსიტეტი ხელს უწყობს იმ კვლევების განხორციელებას, რომელშიც კომპეტენტურია აკადემიური პერსონალი.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია | მეტწილად | ნაწილობრივ | არ არის |
|---|---|---|---|---|

| | მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მისასალმებელია, რომ საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 აკადემიური პერსონალი (მათ შორის: 10 აფილირებული პერსონალი - 5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი) და 3 მოწვეული სპეციალისტი.პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 16.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 6 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - აქტიურ სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის დაახლოებით 2.7. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის დაახლოებით 1,7. აღნიშნული მონაცემები სადოქტორო

| |
|---|
| საფეხურისათვის დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.<br><br>სამართლის სამაგისტრო  პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.<br><br>უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.<br><br>მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა ანაზღაურებადია. აღნიშნული დასტურდება, მათ შორის, პერსონალის ხელშეკრულებებითა და ინტერვიუს შედეგებით.<br><br>საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად (თუმცა, გამონაკლისის სახით არის ერთი პროფესორი ისეთი, რომელსაც არ აქვს დოქტორის ხარისხი. თუმცა, ის არჩეულია რეგულაციის ძალაში შესვლამდე, რომლის თანახმადაც, ასოცირებული პროფესორი აუცილებლად დოქტორი უნდა იყოს. ამჟამად აღარ შეიძლება არჩევა, მაგრამ 2015 წლის რეგულაციით შეიძლებოდა) დაკომპლექტებულია დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები;<br>• აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• პერსონალის დატვირთვის შესახებ დოკუმენტი;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას. უნივერსიტეტი ცდილობს წაახალისოს მათი პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, პლაგიატთან დაკავშირებით.<br><br>მისასალმებელია უნივერსიტეტის მიერ კვლევითი აქტივობების დაფინანსების სისტემის დანერგვა, რომლითაც დაწესებულება წაახალისებს თავის პერსონალს აკადემიურ პერსონალს გამოქვეყნონ სტატიები.<br><br>აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური, რათა, საჭიროების შემთხვევაში, უფრო სრულყოფილად შეძლოს სტუდენტისათვის ხელმძღვანელობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო კვლევებსა და აქტივობებში. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ავტობიოგრაფიებითა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის დოკუმენტით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების უმეტესობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ განხორციელებული აქვთ სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები. |

საქართველოს უნივერსიტეტში არსებობს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი მიზანია სამეცნიერო კვლევითი პროექტების შიდა (საუნივერსიტეტო) და გარე დაფინანსებასან დაკავშირებული საქმიანობის მართვა და კოორდიანაცია.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიმართულებით გასააქტუიურებლად საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს სხდომის ოქმი N55/19 ით დამტკიცდა სამეცნიერო პუბლიკაციის პრემიის გაცემის ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც, სამეცნიერო პუბლიკაციის პრემიის მისაღებად აუცილებელია ორი პირობა, სტატიაში ავტორის ან თანაავტორს მითითებული ჰქონდეს საქართველოს უნივერსიტეტთან და პუბლიკაცია გამოქვეყნებული ან მიღებული იყოს Elsevier-ის Scopus-ის ბაზაში შემავალ ჟურნალში;

პრემიის ოდენობის განსაზღვრისას, უნივერსიტეტი მხედველობაში იღებს სამ პარამეტრს:

-რა პოზიციაზეა ჟურნალი თავისი დარგ(ებ)ის ჟურნალებს შორის;

-როგორია ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ფარდობითი (დარგზე ნორმალიზებული) ციტირების გადანაწილება;

-ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების რა წილია ციტირებადობით თავისი დარგის სტატიების ტოპ 10% ში.

პრემია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ხსნებეული სამი პარამეტრის შეჯერების შედეგად ჟურნალის რეიტინგი შეადგენს მაქსიმალური შესაძლო რეიტინგის არანაკლებ 20%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პრემირების წესი წაახალისებს აკადემიურ პერსონალს გახდნენ უფრო აქტიურები სამეცნიერო მიმართულებით. თუმცა, უნივერსიტეტის მიერ დაწესებულია საკმაოდ მაღალი სტანდარტი და ამგვარი პრემიის მოპოვების საშუალება სამართალმცოდნოების მიმართულებით იშვიათი იქნება. ინტერვიურების პროცესში გამოირკვა რომ სკოლის ერთმა წარმომადგენელმა მიიღო ამგვარი პრემია. საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად მუშაობენ პრემიის მიღების საფუძვლების დახვეწაზე, მის მორგებაზე სამართლისა და ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებებთან. მისასალმებელი იქნება საქართველოს უნივერსიტეტმა გააღრმავოს მის მიერ დამკვიდრებული დადებითი პრაქტიკის მიმართულებით მუშაობა და წაახალისოს ადგილობრივ პროექტებში ჩართულობა და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში აქტიურობაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი ავტობიოგრაფიები (CV) რადიკალურად განსხვავებული ფორმისაა. განახლებული და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთიანი ფორმის რეზიუმეები დაეხმარება  საქართველოს უნივერსიტეტს დააკვირდეს პერსონალის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს მას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი პირადი საქმეები არ არის სათანადოდ მოწესრიგებული. ზოგიერთ პირად საქმეში ვხვდებით სამეცნიერო შრომების ჩამონათვალის ცალკე დოკუმენტს, ზოგ შემთხვევაში ეს მონაცემები ავტობიოგრაფიაშია ინტეგრირებული. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ეს მონაცემები სააპლიკაციო ფორმაში და აკადემიური და მოწვეული პერსონალის პუბლიკაციების დოკუმენტშიც  კი არ არის მოცემული. თუმცა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა

| |
|---|
| განმარტეს, რომ ისინი ელექტრონულად ფლობენს პერსონალის სპეციალურ სააპლიკაციო ფორმას რომელშიც ინფორმაცია მეტად დეტალურია. სააკრედიტაციოთ აღნიშნული დოკუმენტაცია უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია.<br><br>ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონახემების სათანადოდ მოუწესრიგებლობა მიუთითებს პერსონალის პირადი საქმეებისათვის და მათი განვითარების მონიტორინგზე და სააკრედიტაციო პროცესზე ნაკლები ყურადღების გამახვილებაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება;<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის პუბლიკაციების ამსახველი დოკუმენტი;<br>• პერსონალის პირადი საქმეები;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. ღია საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნები მოცემულია თემატურად. ბიბლიოთეკაში დაცულია პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს იურიდიული ელექტრონული ბაზებით სარგებლობას, რომელთა საშუალებითაც დოქტორანტები შეძლებენ მასალების მოძიებას, მათ შორის, უცხოენოვან ლიტერატურაზე. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით. HeinOnline თან წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის ტეროტორიაზე, რაც არაკომფორტულია. ასეთ შემთხვევაში აკადემიური/ მოწვეული პერსონალი იძულებულია დრო გამოყოს რათა უნივერსიტეტში ისარგებლოს ელექტრონული რესურსით. გასათვალისწინებელია თოთოეულის დატვირთული სამუშაო გრაფიკი. თუმცა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვებ-რესურსის ადმინისტრაციასთან დადებული კონტრაქტი არ ითვალისწინებს უნივერსიტეტის კამპუსს გარეთ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობას. სხვა სამეცნიერო ბაზები მაგალითად Jstore ითვალისწინებს უნივერსიტეტს გარეთ წვდომას.

ვიზიტის დროს გამოირკვა, რომ უნივერსიტეტის ბიბილიოთეკასა და კომპიუტერულ სივრცეებში არ არის ხელმისაწვდომი საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდის სრული ვერსია. თუმცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მათ აქვთ შეძენილი მაცნეს ვებ-გვერდის იმგვარი მომხმარებელი, რომელიც მოიცავს არაერთი კომპიუტერიდან მისი გამოყენების შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა და პერსონალის გამოყენებისათვის განსაზღვრულ ნებისმიერ კომპიუტერში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდის სრული ვერსია. უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაეთანხმნენ ამ მიდგომას და მზაობა გამოთქვენს ამ მცირე ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ელექტრონული რესურსების და ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, იგი მომგებიანია და არ უწევს უნივერსიტეტს დოტაციაზე ყოფნა. არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის.<br><br>აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლება აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი არ არის ორიენტირებული დიდი რაოდენობის დოქტორანტის მიღებაზე და აქცენტს ხარისხზე აკეთებენ. აქტიური სტატუსის დოქტორანტთა მცირე ოდენობის გათვალისწინებითაც სადოქტორო პროგრამა მომგებიანია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამის ბიუჯეტი;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის შეფასებაში მონაწილეობს უნივერსიტეტისა და სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დაწესებულება იყენებს პირდაპირ და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. გამოკითხვის წარმოდგენილი ფორმებით განხორციელებულია დოქტორანტების გამოკითხვა, ასევე, წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგი შრომის ბაზრის კვლევის ერთიანი დოკუმენტის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში სხვდასხვა დააინტერესებულ პირთა ჩართულობა დასტურდება წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით.

სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ოთხდონოვანი ციკლის ცირკულარი თვითშეფასების ანგარიშში ყოფილიყო ახსნილი და წარმოდგენილი, რამდენადაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა სწორედ პროცესის დაგეგმვის, შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზისა და განვითარების კუთხით მიემართება. ისევე როგორც აკრედიტაციის სხვა სტანდარტებთან მიმართებით, მოცემულ სტანდარტშიც თვითშეფასების ანგარიში ძალიან მწირია, რაც ართულებს დაწესებულების შიდაორგანიზაციულ დონეზე არსებული ხედვის აღქმასა და ანალიზსს.

საინტერესოა, რომ 5.1. სტანდარტის მტკიცებულება/ინდიკატორში მითითებული „სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის შეფასების ანგარიში“ წარმოდგენილ დოკუმენტებში უბრალოდ ვერ იქნა მოძიებული.

პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზდების პროცესი უმნიშვნელოვანესი ელემენტებისაგან შედგება, საიდანაც ერთ-ერთი თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი სუსტი მხარეებს აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებებია. მოცემულ ცვლილებათა შესახებ მონაცემი არსად ფიქსირდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში.
- კომიტეტის შექმნის ბრძანება.
- პროგრამის განვითარების საბჭოს შეხვედრების ამსახველი ოქმები.
- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები.
- გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ოთხდონოვანი ციკლის ცირკულარი თვითშეფასების ანგარიშში ყოფილიყო ახსნილი და წარმოდგენილი, რამდენადაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა სწორედ პროცესის დაგეგმვის, შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზისა და განვითარების

| |
|---|
| კუთხით მიემართება;<br>• რეკომენდირებულია, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი სუსტი მხარეებს აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები იქნეს წრმოდგენილი, მათ შორის, ასახულ იქნეს თვითშეფასების ანგარიშში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამართლის სადოქტორო პროგრამას აკრედიტაცია მიღებული აქვს 2014 წელს, რაც მის გარე ხარისხის კონტროლის მექანიზმის არსებობას ადასტურებს. პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები. თუმცა, ისევე როგორც სხვა კომპონენტთან მიმართებით, მოცემულ შემთხვევაშიც, თვითშეფასების ანგარიშში ფაქტობრივად არაფერია წარმოდგენილი, რაც სამომავლოდ გასათვალისწინებელია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის გადაწყვეტილება;
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

თვითშეფასების ანგარიშში რეალურად აღიწეროს ის შიდაორგანიზაციული ხედვა, რაც ინსტიტუციას აქვს მის მიერ განხორციელებად სამართლის სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა ხარისხის კონტროლის კუთხით, საჭიროებს პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას. ამ მხრივ, მონიტორინგი უნდა განხორციელდეს პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმების გამოყენებით, სადაც ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. გარკვეულწილად, აღნიშნულ ნაწილს უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების საბჭოს, სადაც სხვადასხვა დაინტერესებული მხარე არის ჩართული.

გამოკითხვის წარმოდგენილი ფორმებით განხორციელებულია დოქტორანტების გამოკითხვა, ასევე, წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგი შრომის ბაზრის კვლევის ერთიანი დოკუმენტის სახით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი არაპირდაპირი მეთოდი, როგორიც კურსდამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი არ არის წარმოდგენილი, რაც პროგრამის შიდა ხარისხის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველია.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია პერიოდულად მოხდეს მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, მონაცემების ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამის განვითარების მიზნით. აღნიშნული შედარებითი ანალიზი და ანალიზის შედეგები, სასურველია, წარმოდგენილი ყოფილიყო.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის ფორმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- დოქტორანტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- სასურველია, წარმოდგენილ იქნეს კურსდამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია პერიოდულად მოხდეს მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, მონაცემების ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამის განვითარების მიზნით. აღნიშნული შედარებითი ანალიზი და ანალიზის შედეგები, სასურველია, წარმოდგენილი ყოფილიყო.

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | √ | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | √ | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | √ | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

გიორგი მახარობლიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ბოგვერაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ილია წიკლაური